



**ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური**

04 ოქტომბერი 2023



N 949

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“ (ს/ნ 211325056, იურიდიული მის.: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N41) (შემდგომში - ფირმა) აუდიტორული (აუდიტური) ფორმების სახელმწიფო რეესტრში აუდიტორულ ფირმად რეგისტრირებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) უფროსის ბრძანებით და მინიჭებული აქვს სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-329406.

„შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯია“-ს ხარისხის მართვის სისტემის სრული (კომპლექსური) მონიტორინგის დაწყების თაობაზე“ სამსახურის 2023 წლის 24 ივლისის N749 ბრძანების საფუძველზე, დაიწყო ფირმის ხარისხის მართვის სისტემის სრული (კომპლექსური) მონიტორინგი (შემდგომში - მონიტორინგი).

სამსახურის 2023 წლის 24 ივლისის N16/59757 წერილით ფირმას ეთხოვა შესაბამის განცხადებასთან ერთად წარმოედგინა ამავე წერილის დანართი N2-ით გათვალისწინებული ინფორმაცია - ფირმისა და ფირმის გარიგებების (აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) გარიგებები, აუდიტორული გარიგების სუბიექტთან არსებული სხვა გარიგებები და ის არააუდიტორული (მათ შორის, არაპროფესიული) მომსახურებები, რომელიც არ არის დაკავშირებული აუდიტის დამკვეთთან) თაობაზე. აღნიშნულ დანართში მითითებულია, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის სისრულე არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი მონიტორინგის ფარგლების განსაზღვრისთვის და რომ გარიგებების სიის არასრულად წარმოდგენა იქნება მონიტორინგის ფარგლების შეზღუდვა, რა შემთხვევაშიც სამსახური ვალდებულია აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ან/და შესაბამისი გარიგების პარტნიორის მიმართ სანქციის სახით გამოიყენოს ჯარიმა 500-დან 5000 ლარამდე ან/და აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფორმების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღება.

ზემოაღნიშნული წერილის პასუხად 2023 წლის 28 ივლისს ფირმის მიერ წარმოდგენილია განცხადება და სამსახურის N16/59757 წერილის დანართი N2-ით მოთხოვნილი ინფორმაცია (სამსახურში რეგისტრაციის N129384/16, 28.07.2023). ამასთან, ფირმის მიერ დადასტურებულია, რომ სრულად და სწორად არის წარმოდგენილი 2020 წლის 15 მაისიდან მიმდინარე და დასრულებული აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) გარიგებების, აუდიტორული გარიგების სუბიექტთან არსებული სხვა გარიგებების და იმ არააუდიტორული (მათ შორის, არაპროფესიული) მომსახურებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული აუდიტის დამკვეთთან.

მონიტორინგის პროცესში, სამსახურის მიერ ადმინისტრაციული წარმოებისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ ფირმამ განახორციელა მომსახურებები/გარიგებები, რომლებიც არ არის დაფიქსირებული ფირმის მიერ ზემოაღნიშნული დანართი N2-ით წარმოდგენილ ინფორმაციაში (სამსახურში რეგისტრაციის N129384/16, 28.07.2023), კერძოდ:

- [redacted] აუდიტორული მომსახურება და საშემფასებლო მომსახურება;
- [redacted] აუდიტორული მომსახურება;
- [redacted] აუდიტორული მომსახურება;

- [redacted] აუდიტორული მომსახურება;
- [redacted] აუდიტორული მომსახურება;
- [redacted] აუდიტორული მომსახურება;
- [redacted] აუდიტორული მომსახურება;
- [redacted] აუდიტორული მომსახურება;
- [redacted] აუდიტორული მომსახურება;
- [redacted] აუდიტორული მომსახურება;
- [redacted] აუდიტორული მომსახურება;
- [redacted] აუდიტორული მომსახურება და საგადასახდო მომსახურება;
- [redacted] აუდიტორული მომსახურება;
- [redacted] აუდიტორული მომსახურება;
- [redacted] აუდიტორული მომსახურება (კომპილაციური გარიგება);
- [redacted] აუდიტორული მომსახურება (კომპილაციური გარიგება);
- [redacted] საშემფასებლო მომსახურება და პროფესიული მომსახურება.

2023 წლის 06 სექტემბერს სამსახურმა ფირმას გაუგზავნა N16/70679 წერილი და მოითხოვა ინფორმაციის (ახსნა-განმარტება) წარდგენა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ მოხდა ფირმის მიერ განხორციელებული ზემოთ აღნიშნული გარიგებების/მომსახურებების სრულყოფილად დაფიქსირება დანართი N2-ის შესაბამისად წარმოდგენილ ინფორმაციაში (სამსახურში რეგისტრაციის N129384/16, 28.07.2023). ამასთან, ფირმას ეთხოვა ხელახლა, სრულყოფილად წარმოედგინა ინფორმაცია 2020 წლის 15 მაისიდან მიმდინარე და დასრულებული გარიგებების თაობაზე.

სამსახურის N16/70679 წერილის პასუხად, ფირმა წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში (სამსახურში რეგისტრაციის N153665/16, 12.09.2023) მიუთითებს, რომ ფირმის ბუღალტრული აღრიცხვის რგოლი მომსახურების საგადასახდო ანგარიშფაქტურების გამოწერისას ხშირ შემთხვევაში ყურადღებას არ აქცევს მომსახურების ფაქტიურ შინაარსს და უბრალოდ აფიქსირებს აუდიტორულ მომსახურებას ფაქტურის მომსახურების განმარტების ველში. წარმოდგენილი ახსნა-განმარტების თანახმად, აღნიშნულ გარემოებას ადგილი ჰქონდა შემდეგი სუბიექტების შემთხვევაში: [redacted]

[redacted] ფირმის განმარტებით, აღნიშნული უზუსტობებისთვის არ მიუქცევია ყურადღება, ვინაიდან, მონიტორინგის წინა ორ შემთხვევაში ანალოგიური სახის შენიშვნა, იზოლირებული ერთეულოვანი შემთხვევასთან დაკავშირებული არ მიუღია და არ იცოდა, რომ მონიტორინგის ფარგლებში ხდებოდა ფირმის მიერ წარდგენილი ინფორმაციისა და ანგარიშფაქტურების შეჯერება. ფირმა ასევე აღნიშნავს, რომ მიუხედავად ზემოთ მოყვანილი მიზეზისა, სამსახურის N16/70679 წერილით გათვალისწინებული იურიდიული პირების შემთხვევაში რეალურად მაინც რჩება აუდიტორული გარიგებები, რომლებიც არ იქნა სამსახურისთვის მიწოდებული, რაც მათი შეფასებით სამწუხარო ფაქტია. ფირმა ასევე გამოთქვამს მზადყოფნას გაიზიაროს შესაბამისი პასუხისმგებლობა, ხოლო ინფორმაციის არასრულად წარმოდგენის მიზეზად მიუთითებს, რომ ფორმების შევსება მოხდა ივლისის ბოლო დღეებში ფირმის ბუღალტრული რგოლის მიერ. ფირმის განმარტებით, გაკონტროლდა, რომ ყველა რეპორტალზე დაფიქსირებული გარიგება ასახული ყოფილიყო წარმოდგენილ ინფორმაციაში და ამ კუთხით არ ყოფილა შეცდომები დაფიქსირებული. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ფირმამ სამსახურის N16/70679 წერილით გათვალისწინებული თითოეული გარიგების/მომსახურების მიმართ წარმოადგინა შესაბამისი ახსნა-განმარტება და ამასთან, აღნიშნა, რომ ფირმის მიერ გამოტოვებები არ ყოფილა მიზანმიმართულად დაშვებული და იმ მოცულობის გარიგებებთან მიმართებაში, რაც ფირმის მიერ იქნა წარმოდგენილი (სამსახურში რეგისტრაციის N129384/16, 28.07.2023), ცალსახად უმნიშვნელოა.

სამსახურის 2023 წლის 24 ივლისის N16/59757 წერილის დანართი N2-ით გათვალისწინებულია ინფორმაცია - ფირმისა და ფირმის გარიგებების თაობაზე. აღნიშნულ დანართში დეტალურად/გარკვევით არის მითითებული, თუ რა სახის გარიგებების შესახებ მოეთხოვებოდა ფირმას ინფორმაციის წარდგენა, კერძოდ, აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) გარიგებების, აუდიტორული გარიგების სუბიექტთან არსებული სხვა გარიგებების და იმ არააუდიტორული (მათ შორის, არაპროფესიული) მომსახურებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც არ არის

დაკავშირებული აუდიტის დამკვეთთან. სამსახურის N16/59757 წერილით ფირმას განემარტა, რომ სამსახური, მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისათვის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას და გამოვლენას. ამასთან, „ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N6-9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა/გარიგების პარტნიორი ვალდებულია წარადგინოს სამსახურის მიერ მონიტორინგისათვის მოთხოვნილი საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში, ხოლო კანონის VII თავის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახური ვალდებულია კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული სანქცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურის N16/59757 წერილის დანართი N2-ის შესაბამისად წარმოდგენილ ინფორმაციასთან მიმართებით ფირმის მიერ დადასტურებულია, რომ სრულად და სწორად არის წარმოდგენილი 2020 წლის 15 მაისიდან მიმდინარე და დასრულებული აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) გარიგებების, აუდიტორული გარიგების სუბიექტთან არსებული სხვა გარიგებების და იმ არააუდიტორული (მათ შორის, არაპროფესიული) მომსახურებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული აუდიტის დამკვეთთან (სამსახურში რეგისტრაციის N129384/16, 28.07.2023).

სამსახურის 2023 წლის 06 სექტემბრის N16/70679 წერილის შესაბამისად, ფირმის მიერ მიმდინარე და დასრულებული გარიგებების თაობაზე ხელახლა წარმოდგენილი ინფორმაცია (სამსახურში რეგისტრაციის N153665/16, 12.09.2023) მოიცავს ფირმის მიერ გაწეულ ისეთ მომსახურებებს, რომელიც არ იყო დაფიქსირებული ფირმის მიერ დანართი N2-ის შესაბამისად წარმოდგენილ ინფორმაციაში (სამსახურში რეგისტრაციის N129384/16, 28.07.2023).

ამდენად, სამსახურის მიერ ადმინისტრაციული წარმოებისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და ამასთან, ფირმის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ახსნა-განმარტებიდან და მიმდინარე და დასრულებული გარიგებების თაობაზე ხელახლა წარმოდგენილი ინფორმაციიდან (სამსახურში რეგისტრაციის N153665/16, 12.09.2023) ვლინდება, რომ ფირმამ განახორციელა მომსახურებები/გარიგებები, რომლებიც არ არის დაფიქსირებული ფირმის მიერ ზემოაღნიშნული დანართი N2-ით წარმოდგენილ ინფორმაციაში (სამსახურში რეგისტრაციის N129384/16, 28.07.2023), კერძოდ:

- [redacted] ფინანსური ანგარიშგების აუდიტი;
- [redacted] ფინანსური ანგარიშგების აუდიტი;
- [redacted] სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (საანგარიშგებო პერიოდი - 2019 წლის 1 ივლისიდან 2020 წლის 30 ივნისამდე);
- [redacted] 2020-2021 წლების სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი;
- [redacted] გების სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი;
- [redacted] წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი;
- [redacted] ლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი;
- [redacted] ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (საანგარიშგებო პერიოდი - 2019 წლის 31 აგვისტოდან 2020 წლის 31 აგვისტომდე);
- [redacted] 20 და 2022 წლების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი;
- [redacted] ამემფასებლო მომსახურება და კომპილაციის მომსახურება;
- [redacted]
- [redacted] აუდიტორული მომსახურება (შეთანხმებული პროცედურები);
- [redacted] ამემფასებლო მომსახურება;

- [redacted] მემბრის რეპორტალზე ატვირთვა და ასატვირთი მონაცემების მომზადებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება;
- [redacted] ჯგუფის კვარტალური სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული რეპორტის წარმოებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება;
- [redacted] ლური სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული რეპორტის წარმოებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება;
- [redacted] მფასებლო მომსახურება;
- [redacted] პროფესიული მომსახურება (შეთანხმებული პროცედურები).

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის V თავით გათვალისწინებულ აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების (მათ შორის, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების, მე-16 მუხლით განსაზღვრული წესების, მე-19 მუხლით განსაზღვრული ხარისხის მართვის სისტემის მიმართ მოთხოვნების და ამ სისტემის მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნების) დარღვევა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ან/და შესაბამისი გარიგების პარტნიორის დაჯარიმებას 500-დან 5000 ლარამდე ან/და რეესტრიდან ამოღებას. ამასთან, „ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N5-9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა/გარიგების პარტნიორი ვალდებულია წარადგინოს სამსახურის მიერ მონიტორინგისათვის მოთხოვნილი საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში.

აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა პირდაპირპროპორციულია საზოგადოებაში აუდიტის პროფესიის მიმართ ნდობის არსებობასთან. სამსახურს კრიტიკულად მნიშვნელოვანად მიაჩნია, მონიტორინგს დაქვემდებარებულმა აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ იმოქმედოს კანონის მოთხოვნის ფარგლებში. სამსახურისათვის მონიტორინგისათვის მოთხოვნილი საჭირო ინფორმაციის არასრულად მიწოდება რისკის ქვეშ აყენებს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების საკითხს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ფირმის მიერ დარღვეული იქნა სამსახურის მიერ მონიტორინგისათვის მოთხოვნილი საჭირო ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენის ვალდებულება. ამასთან, ფირმა გაფრთხილებული იყო წერილობით (2023 წლის 24 ივლისის N16/59757 წერილი) შესაძლო პასუხისმგებლობის თაობაზე.

ვინაიდან, ფირმის მიერ სამსახურისთვის წარსადგენი ინფორმაციის სრულყოფილად მიღება მონიტორინგის მიზნებისთვის და ეფექტურად განხორციელებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, დარღვევისა და შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, შიდა მეთოდოლოგიურ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, ფირმის რესურსისა და მის სამომავლო საქმიანობაზე სანქციის გავლენის გათვალისწინებით, გამოიყენოს საჯარიმო სანქციის შესაბამისი ოდენობა.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N5-9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და სამსახურის აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი) 2023 წლის 15 სექტემბრის N92215-16 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ფირმა - შპს „ბეიკერტილი ჯორჯია“ (ს/ნ 211325056, სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-329406) დაჯარიმდეს 4 000 (ოთხი ათასი) ლარით;

2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003550;

3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;

4. წინამდებარე ბრძანება გამოცემიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში გაეგზავნოს ფირმას - შპს „ბეიკერტილი ჯორჯია“;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, პეკინის ქ. N29 - ბულაჩაურის ქ. N7ა).

თორნიკე ძაგნიძე



დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი

<https://edoc.mof.ge/public/#/949-16-4-202310041734>

